



სააპელაციო საბჭოს
ბადაყვივთილეა
ქ. თბილისი



MES 6 23 0000820196



04/07/2023

შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის
სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2023 წლის 03 ივლისს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №742281) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 მაისის N576384 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

2023 წლის 03 ივლისს სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 97-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის (ს/კ: 216441358) სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №742281);

2. სააპელაციო საბჭოს 2023 წლის 04 ივლისის №819520 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;
3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა;
4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
თავმჯდომარე
ლევია ბორის



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
მდივანი
საბახტარიშვილი ანა

